ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4287655

ნომერი: AR1646979

თარიღი : 28.11.2018

გაცემის თარიღი : 03.12.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა კალანდაძე , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გოგოძე პ/ნ 01008014709
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 32 ბ. 42

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. მისო რიკო ექსპრესი კოდი: 205034539

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი; ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - მოთხოვნის ტექსტში განმარტეთ აღნიშნული პანდუსი მომსახურე პერსონალისთვის (თანამსრომლისთვის) იქნება განკუთვნილი თუ მომხმარებლისთვის (მოქალაქისთვის). თუ მომხმარებლისთვის (მოქალაქისთვის) იქნება განკუთვნილი, მაშინ გაუგებარია პანდუსის მოწყობა უკან, ეზოს მხარეს რატომ ხდება, ვინაიდან მოქალაქე ეზოში ვერ მოხვდება, ვინაიდან არსებული ფოტომასალით ჩანს, რომ ეზო ჩაკეტილია ჭიშკრით. შესაბამისად, შშმ მომხმარებლისთვის (მოქალაქისთვის) ქუჩის მხრიდან უნდა მოხდეს პანდუსით შესვლა, ხოლო თუ მომსახურე პერსონალისთვის (თანამშრომლისთვის) იქნება განკუთვნილი, მაშინ აღნიშნული პანდუსი უნდა მოეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 06.01.2014 წ. № 41-ე დადგენილების მე-2 თავის, მე-3; მე-4; მე-5 მუხლით.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიხედვით პანდუსის დახრა, მოაჯირი და ბაქნის სგანე არასწორია. შეასწორეთ აღნიშნული და მეტი თვალსაჩინოებისათვის დამატებით წარმოადგინეთ პანდუსის ესკიზური ნახაზები

2. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" - საკადასტრო გეგმაზე მონიშნეთ საპროექტო ადგილი.

3. იმ შემთხვევაში, თუ პანდისის მოწყობა ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაშინ წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა შესაბამისი დანართებით, ხოლო თუ კორპუსის საკადასტრო საზრვრებში მოხდება პანდუსის მოწყობა, მაშინ წარმოსადგენი იქნება სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), რომელიც უნდა ატვირთოთ საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი (გიგზავნით კრების ოქმის ნიმუშს, იხ. დანართი 1).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.